



56

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

“ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ”
სოციალური სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი

გიორგი ალასანია

„2“ „ნოემბერი“ 2012 წელი

ფ. N2

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

აუდიტის ანგარიში *ა/ 19/00*

2011 წლის 1 იანვარი - 2011 წლის 31 დეკემბერი

სარჩევი

აუდიტის ანგარიში

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე.....	4
აუდიტორის პასუხისმგებლობა	4
პირობითი მოსაზრების საფუძვლები	5
პირობითი მოსაზრება	7
ფული და ფულის ექვივალენტები.....	8
დებიტორული დავალიანება	9
შენობა-ნაგებობები.....	10
სხვა მატერიალური მარაგები	13
კრედიტორული დავალიანება.....	14
საბიუჯეტო ასიგნებები.....	15
შრომის ანაზღაურება.....	17
ბუღალტრული ანგარიშგების ფორმები	18
დანართი N1.....	30
დანართი N2.....	31

საქართველოს მეცნიერებისა და განათლების სამინისტროს მენეჯმენტს:

მინისტრს	ხატია დეკანოიძეს
მინისტრის პირველ მოადგილეს	შოთა ნიჟარაძეს
მინისტრის მოადგილეს	გიორგი ჩახნაშვილს
მინისტრის მოადგილეს	ნოდარ სურგულაძეს
მინისტრის მოადგილეს	ირინე ქურდაძეს



აუდიტის ანგარიში

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს სამინისტროს ნაერთ ბალანსს 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ნაერთ ანგარიშგებებს ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით: არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციები; ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციები, წმინდა ღირებულება, სხვა შემოსავლებიდან მიღებული სახსრების მოძრაობის, ფულადი გრანტების, არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის, ეკონომიკური ნაკადების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულების ცვლილებებისა და ავტომატური ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

სამინისტროს ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ნაერთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის წარდგენაზე "საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულების, „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციისა და ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ №364 ბრძანების შესაბამისად.

აღნიშნული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახური პასუხისმგებელია, აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსური ანგარიშგებაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორის მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნას დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობას.



აუდიტორის პასუხისმგებლობა (გაგრძელება)

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ნაერთ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხებისა და განმარტებითი შენიშვნების შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განიხილავს, შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი სამინისტროს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის, რომ განსაზღვრულიყო მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოთქვას შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე. აუდიტი, აგრეთვე, გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებულ სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, ასევე, მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია პირობითი აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად.

პირობითი მოსაზრების საფუძველები

- 1. დაურეგისტრირებელია სამეცნიერო/კვლევითი ინსტიტუტებისა და პროფესიული სასწავლებლების ბალანსზე ასახული 4,232.9 ათასი ლარის შენობა-ნაგებობა.

სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მიერ ბალანსზე ასახული 2,525.9 ათასი ლარის შენობა-ნაგებობა დაურეგისტრირებელია, ხოლო 851.3 ათასი ლარის შენობა-ნაგებობები, რომელიც გადაეცა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, საჭიროებს რეგისტრაციის განახლებას (იხილეთ დანართი 1).

პროფესიული კოლეჯების საბალანსო ანგარიშგებაზე ასახული 1,707.28 ათასი ლარის შენობა-ნაგებობები დაურეგისტრირებელია.

დასახელება	31/12/2011
კოლეჯი "მერმისი"	1,070
კოლეჯი "ორიენტი"	345
კოლეჯი "პროფესიონალი"	292
სულ	1,707

ასევე, 2011 წლის ბოლოს ბალანსზე აღურიცხავია სსიპ "ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტზე" სარგებლობის უფლებით გადაცემული ქ. თბილისში ვაჟა-ფშაველას მე-3 კვარტლის მე-8 კორპუსში არსებული 1,024.19 მ² საჯარო რეესტრში მათზე დარეგისტრირებული შენობა-ნაგებობა და მოძრავი ქონება. ინსტიტუტს ამ ქონებით არ უსარგებლია.



პირობითი მოსაზრების საფუძვლები (გაგრძელება)

2. ინსტიტუტების სარგებლობაში არსებული 65.6 ჰექტარი მიწა არ არის შეფასებული და ასახული შესაბამის საბალანსო მუხლში.

სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების ქონების შესწავლისას გამოვლინდა:

- 13 სამეცნიერო - კვლევითი დაწესებულების სარგებლობაში არსებული 128 ჰექტარი მიწა დაურეგისტრირებელია საჯარო რეესტრში;
- 11 სამეცნიერო - კვლევითი დაწესებულების სარგებლობაში არსებული 65.5 ჰექტარი მიწა არ არის შეფასებული და ბალანსზე აღრიცხული:

#	ინსტიტუტის დასახელება	მიწის ფართობი (კვ.მ)
1	სსიპ "მიხეილ წოდისა გეოფიზიკის ინსტიტუტი"	370,840
2	სსიპ "ელეფთერ ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტი"	24,273
3	სსიპ "ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტი"	11,353
4	სსიპ "პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი	41,410
5	სსიპ "რაფიელ აგლაძის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტი	30,256
6	სსიპ "ნიკო მუსხელიშვილის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტი"	7,604
7	სსიპ "კვების მრეწველობის ინსტიტუტი"	26,591
8	სსიპ "წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი"	119,548
9	სსიპ "ჰიდროლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტი"	19,038
10	სსიპ "ბიოტექნოლოგიების ცენტრი"	1,086
11	სსიპ "სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტი"	3,664
სულ		655,663

3. სამინისტროს მიერ მიღებული გრანტები 16,669.355 ათასი ლარის ოდენობით არ დაურეგისტრირებულა ფინანსთა სამინისტროში, რის შედეგადაც ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულება ანგარიშის არსებობის შესახებ.

2011 წლის 31 დეკემბრისთვის 16,669.36 ათასი ლარის გრანტი განათლების სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფ ორგანიზაციებს არ ჰქონდათ დამტკიცებული ბიუჯეტის კანონის შესაბამისად. აქედან, 12,970.4 ათასი ლარი წარმოადგენს 2011 წელს მიღებულ გრანტს. 2010 წლისთვის აღნიშნული მონაცემი შეადგენდა 22,642.8 ათას ლარს. შემცირება გამოწვეულია 2010 წლის სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აუდიტის რეკომენდაციის საფუძველზე დაწყებული გრანტების რეგისტრაციით.



პირობითი მოსაზრება

პირობითი მოსაზრება

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსაზრებით, გარდა „პირობითი მოსაზრების საფუძვლების“ საკითხების შესაძლო გავლენისა, სამინისტროს 2011 წლის 31 დეკემბრის ნაერთი ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მომზადებულია "საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულების, „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციისა და ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ №364 ბრძანების შესაბამისად¹.

¹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის ბრძანება #1321.



ფინანსური ანგარიშგების პროცესში გამოვლენილი სისუსტეები

შიდა კონტროლის სისუსტეები:

სამინისტროში დანერგილი კონტროლის სისტემა განაპირობებს შემდეგ ნაკლოვანებებს:

1. სამინისტროში არ ტარდება მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია, რაც ხელს შეუწყობდა დავალიანებების დროულ ლიკვიდაციას. შედეგად, წარმოშობილი დებიტორული დავალიანებებიდან 1,388 ათასი ლარი და კრედიტორული დავალიანებებიდან 1,507.9 ათასი ლარი მიეკუთვნება 1996 წლიდან 2006 წლამდე პერიოდს.
2. სამინისტროში არ ხორციელდება გაცემული გრანტების მონიტორინგი. სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გაცემული და დასრულებული საგრანტო პროექტების 10%² შემთხვევითი წესით უნდა შერჩეულიყო და შეფასებულიყო შესაბამისი დარგის ექსპერტების მიერ. გასულ წლებში შერჩევა და შეფასება არ განხორციელებულა.
3. უმაღლეს საგანმანათლებლო/კვლევით დაწესებულებებზე დარიცხული დებიტორული დავალიანების მატების გამო, იზრდება ამ დაწესებულებების საბიუჯეტო სახსრებით დაფინანსების აუცილებლობა. 1996 - 2011 წლებში სწავლის საფასურის შედეგად დარიცხული დებიტორული დავალიანება შეადგენს 15,374.96 ათას ლარს, საიდანაც 2011 წლამდე პერიოდის დავალიანება შეადგენს 10,085.44 ათას ლარს, რაც უარყოფითად აისახება დაწესებულებათა ლიკვიდურობაზე და განაპირობებს დამატებითი საბიუჯეტო სახსრების ათვისების აუცილებლობას.
4. შიდა აუდიტის მუშაობა ძირითადად ორიენტირებულია ინსპექტირების საკითხებზე. შესაბამისად, დეპარტამენტი მის საქმიანობაში საჭიროებს შიდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვას.

ფული და ფულის ექვივალენტები

2011 წლის „ფულადი და ფულადი ექვივალენტების ანგარიშის“ საწყისი ნაშთი, 2010 წლის საბოლოო ნაშთთან შედარებით 77 ათასი ლარით შემცირდა. აღნიშნული ცვლილებების შედეგად, 2010 წლის ფინანსური ანგარიშგება არ შესწორებულა³.

დებიტორული დავალიანება

2011 წლის ბოლოს დებიტორული დავალიანება შეადგენს 77,696 ათას ლარს, საიდანაც 2,748.89 ათასი ლარის დებიტორულ დავალიანებაზე ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტაცია არ წარმოდგენილა.

² სსიპ. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის წესდების 72-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

³ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის ბრძანება #1321, მე-7 მუხლი, მე-2 პუნქტი.



ფინანსური ანგარიშგების პროცესში გამოვლენილი სისუსტეები

914.22 ათასი ლარი წარმოადგენს უიმედო ვალს⁴ და 252.75 ათასი ლარის დებიტორული დავალიანებაზე 2007 წლიდან არ განხორციელებულა მონიტორინგი.

2011 წელს სამინისტრომ საერთაშორისო დონორებისგან მიიღო 497.13 ათასი ლარის დაფინანსება საქართველოს განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროექტი APL 2-ის ფარგლებში, რომლის განმახორციელებლად განისაზღვრა სსიპ "საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი".

2011 წელს ხარჯვის დოკუმენტაციის წარუდგენლობის გამო, გახარჯული თანხები არ ჩამოწერილა და შესაბამისად, აღნიშნული თანხა აისახა დებიტორულ დავალიანებად, სულ 2,748.89 ათასი ლარის მოცულობით (2010 წელს დარიცხული 2,251.76 ათასი ლარი და 2011 წელს დარიცხული 497.13 ათასი ლარი).

914.22 ათასი ლარი წარმოადგენს უიმედო ვალს, რომელზეც არ განხორციელებულა მონიტორინგი. შესაბამისად, ქვემოთ მოცემული დებიტორების დაფარვის მდგომარეობა გაურკვეველი რჩება და ხელოვნურად ზრდის დებიტორული დავალიანების ანგარიშს.

ათასი ლარებში		
დაწესებულების დასახელება	თანხა	დარიცხვის პერიოდი
დებიტორული დავალიანებები ლიკვიდირებული ორგანიზაციიდან	137.59	1996-2000 წლები
სამედიცინო უნივერსიტეტის დებიტორული დავალიანება	776.63	1996-2000 წლები
სულ	914.22	

⁴ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის ბრძანება #1321, 68-ე მუხლი, პირველი და მე-2 პუნქტები.



ფინანსური ანგარიშგების პროცესში გამოვლენილი არსებითი სისუსტეები დებიტორული დავალიანება (გაგრძელება)

137.59 ათასი ლარის საბიუჯეტო დებიტორული დავალიანება წარმოქმნილია 1996 – 2000 წლებში სამინისტროს ლიკვიდირებული ორგანიზაციების საბალანსე მუხლებზე. ხანდაზმულ დებიტორულ დავალიანებაზე არ განხორციელებულა შესაბამისი ღონისძიებები⁵.

სამედიცინო უნივერსიტეტის ბალანსზე ასახული 776.62 ათასი ლარის დებიტორული არასაბიუჯეტო დავალიანება, რომელიც წარმოიშვა 1996-2000 წლებში, „საქართველოს შრომის, ჯანმთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს“ მიმართ, სხვადასხვა უწყებების მიერთვის შედეგად („დიპლომისშემდგომი და უწყვეტი პროფესიული განვითარების ინსტიტუტის“ ექიმების სწავლების მომსახურების საფასური 74.76 ათასი ლარი და ჟვანიას ბავშვთა სავადმყოფოს სადაზღვევო მომსახურების - 701.86 ათასი ლარი). აღნიშნული უწყებები 2011 წლისთვის აღარ ეკუთვნიან სამინისტროს, თუმცა მათი დებიტორული და კრედიტორული დავალიანებები ასახულია სამინისტროს ბალანსზე.

სამინისტროს დებიტორული დავალიანება 252.75 ათასი ლარის მოცულობით წარმოადგენს 2007 წლის წიგნების თარგმნის მომსახურებას, რომელიც უნდა განხორციელებულიყო სსიპ „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი“ მიერ. აღნიშნული პერიოდისთვის მხოლოდ 133.16 ათასი ლარის მომსახურება გაიწია. დანარჩენი გადარიცხული 252.75 ათასი ლარი აისახება სამინისტროს დებიტორული დავალიანებად. აღნიშნული მომსახურებაზე არ განხორციელებულა დავალიანების მონიტორინგი, რომ დროულად მომხდარიყო მომსახურების გაწევა ან თანხის დაბრუნება.

2011 წლის ბოლოსთვის აღნიშნული მომსახურების ვალდებულება არ აისახება ილიას უნივერსიტეტის კრედიტორულ დავალიანებად, შესაბამისად, სამინისტროს სისტემაში არსებულ ქვეუწყებებში კრედიტორული და დებიტორული დავალიანებები არ გამოითითება⁶.

შენობა-ნაგებობები

სამინისტროს ბალანსზე ასახული შენობა-ნაგებობების ანგარიში შეიცავს შემდეგ უზუსტობებს:

- სამინისტროს ბალანსზე ასახული 765.54 ათასი ლარის შენობა-ნაგებობა აღარ არის სამინისტროს სარგებლობაში;
- უძრავი ქონების საბალანსე ღირებულება შეუსაბამოა საბაზრო ფასებთან.

⁵ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის ბრძანება #1321, 68-ე მუხლი, მე -2 პუნქტი;

⁶ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის ბრძანება #1321, მე-16 მუხლი, მე-2 პუნქტი.



ფინანსური ანგარიშგების პროცესში გამოვლენილი არსებითი სისუსტეები შენობა-ნაგებობები (გაგრძელება)

გადაცემული და სარგებლობაში არარსებული ქონება

სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების სარგებლობაში არსებული უძრავი ქონება პრივატიზებული ან გადაცემულია სხვა უწყებაზე. რადგან დაწესებულებებს არ გააჩნიათ ქონების ბალანსიდან ჩამოწერის დოკუმენტურად დადასტურებული სამართლებრივი საფუძველი, აღნიშნული აქტივები კვლავ ირიცხება ამ დაწესებულებების ბალანსზე, მაგალითად:

სსიპ "მიხეილ ნოდიაშვილის გეოფიზიკის ინსტიტუტის" სარგებლობაში არსებული ჭონქაძის ქ. №20-ში მდებარე მიწისქვეშა ობსერვატორია (მიწა 5,290 მ², 1,800 მ² შენობა-ნაგებობა, ნარჩენი საბალანსო ღირებულება 10.24 ათასი ლარი); ნუცუბიძის ქ. № 77-ში მდებარე ლაბორატორია გადაცემულია თავდაცვის სამინისტროსთვის (107,135 მ² მიწა, 300 მ² შენობა-ნაგებობა, ნარჩენი ღირებულება 117.05 ათასი ლარი).

სსიპ "ელეფთერ ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტის" ბალანსზე რიცხული თამარაშვილის ქ. №6-ში მდებარე შენობა-ნაგებობები (მიწა მათზე აღარაა დარეგისტრირებული) 2,276 მ² შენობა-ნაგებობები, ნარჩენი საბალანსო ღირებულება 1.69 ათასი ლარი). ახალგაზრდობის ხეივანში (ლადო ასათიანის ქ. №42) მდებარე მიწისქვეშა ლაბორატორია (მიწა და შენობა 373 მ², ნარჩენი ღირებულება 0.28 ათასი ლარი) აღარ არის მათ სარგებლობაში.

სსიპ "ელეფთერ ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტის" ბალანსზე ერიცხება 3,141 მ² ზაჰესში მდებარე საცხოვრებელი ფართი, ნარჩენი ღირებულებით 111.73 ათასი ლარი. აღნიშნული ფართი არ არის დაწესებულების ფაქტიურ სარგებლობაში. ასევე, არ არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში (იხ. დანართი #1).

სსიპ "პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის" ბალანსზე არსებული ჭირნახულის ქ. № 7-ში მდებარე ლილოს საინჟინრო ცენტრი სარგებლობაში გადაეცა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს (ნარჩენი ღირებულება 76.91 ათასი ლარი, დაუზუსტებელია შენობის ფართი).

სსიპ "კავკასიის ალექსანდრე თვალჭრელიძის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტის" სარგებლობაში ფონიჭალაში არსებულ შენობაში ცხოვრობენ დევნილები, მიმდინარეობს ფართის მათზე დარეგისტრირების პროცესი და ინსტიტუტი აღარ სარგებლობს აღნიშნული ქონებით (ნარჩენი ღირებულებით 152.8 ათასი ლარი). ინსტიტუტის ბალანსზე ასევე აღრიცხულია ფონიჭალაში 41.35 ათასი ლარის საბალანსო ღირებულების ავტოფარების დაუმთავრებელი შენობა, დაბა ლისში დაუმთავრებელი სათბურისა (ნარჩენი საბალანსო ღირებულებით 55.88 ათასი ლარი) და საწარმოო ბაზის (საბალანსო ღირებულებით 12.83 ათასი ლარი) შენობები (მიწისა და შენობა-ნაგებობათა ფართის შესახებ ინფორმაცია არ გააჩნიათ, იხ. დანართი #1).

სსიპ "წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის" ბალანსზე ასახულია სიღნაღის რაიონის სოფელ ხორნაბუჯში განთავსებული 11 ერთეული საცხოვრებელი სახლი, ნარჩენი ღირებულებით 50.83 ათასი



ფინანსური ანგარიშგების პროცესში გამოვლენილი არსებითი სისუსტეები

შენობა-ნაგებობები (გაგრძელება)

ლარი, რომლის ფართი და მიწის მონაცემები გაურკვეველია (ასევე ქონება დაურეგისტრირებელია საჯარო რესტრში).

პროფესიული სასწავლებლების საბალანსო ანგარიშზე ასახული 133.95 ათასი ლარის უძრავი ქონება აღარ არის კოლეჯების ფაქტიურ სარგებლობაში. 2011 წლის ბოლოსთვის შენობა - ნაგებობაში ცხოვრობენ დევნილები:

დასახელება (თანხა ათას ლარებში)	31/12/2011
კოლეჯი „სპექტრი“ - ჭიჭინაძის ქ. N10	49.77
კოლეჯი „მერმისი“ - სარაჯიშვილის ქ. N108	52.15
კოლეჯი "პროფესიონალი" - ერისთავის ჩიხი N1	32.03
სულ:	133.95

ბალანსზე აღრიცხული ქონების შეფასება

შერჩეული ქონების ნარჩენი საბალანსო ღირებულება 2011 წლის ბოლოს შეადგენს დაახლოებით 5,439 ათას ლარს, ანუ 1 მ²-ის ნარჩენი ღირებულება საშუალოდ 26.1 ლარია. აქედან, დაახლოებით 161 ათასი მ² შენობა-ნაგებობა და მიწაზე დამაგრებული 47.3 ჰექტარი მდებარეობს ქ. თბილისში. თბილისში განლაგებული შენობა-ნაგებობების ნარჩენი საბალანსო ღირებულება მიახლოებით შეადგენს 4,311.7 ათას ლარს. 1 მ²-ის ნარჩენი ღირებულება საშუალოდ 26.8 ლარია, რაც დღეისათვის არსებულ საბაზრო ფასებს არ შეესაბამება.

სსიპ "ალექსანდრე ჯანელიძის გეოლოგიის ინსტიტუტის" სარგებლობაში არსებული ბოლნისის რაიონის დაბა კაზრეთში მდებარე 648 მ² შენობა-ნაგებობის ნარჩენი ღირებულება 2011 წლისათვის შეადგენდა 2.3 ათას ლარს.

სსიპ "ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის" სარგებლობაში ქ. თბილისში მელიქიშვილის ქ. №10- ში არსებული 1,589.6 მ² შენობა-ნაგებობა 2011 წლის ბოლოსთვის ნულოვანი საბალანსო ღირებულებით არის ასახული.

განულებულია და საბალანსო ღირებულება აღარ გააჩნიათ სსიპ "ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტის" სარგებლობაში არსებულ 3 ერთეულ შენობა-ნაგებობას ბათუმში, წყალტუბოსა და თიანეთში (საერთო ფართი 664.6 მ²).



ფინანსური ანგარიშგების პროცესში გამოვლენილი არსებითი სისუსტეები

სხვა მატერიალური მარაგები

უმაღლეს სასწავლებლებს სამეცნიერო-კვლევითი მიზნებისთვის ბალანსზე ასახული აქვთ ძვირფასი ლითონები, რომელთა საბალანსე ღირებულება არ შეესაბამება საბაზრო ფასს⁷. კვლევითი დაწესებულების (სსიპ "მიხეილ წოდისა გეოფიზიკის", სსიპ "ალექსანდრე ჯანელიძის გეოლოგიის", სსიპ "პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის", სსიპ "კიბერნეტიკის", სსიპ "წყალთა მეურნეობის", სსიპ "კვების მრეწველობის", სსიპ "იოველ ქუთათელაძის ფარმაცოქიმიის") ბალანსზე აღრიცხულია 11,864 გრამის პლატინის ჭურჭელი 34.91 ათას ლარად.

ასევე ბალანსზე აისახება 133.85 გრამი ოქრო, რომელიც შეფასებულია 0.26 ათას ლარად და 4,472.86 გრამი ვერცხლი - 0.40 ათას ლარად. შედეგად, საბაზრო ღირებულებასთან მიმართებით მატერიალური მარაგები შემცირებულია 1.27 ათასი ლარით.

ძვირფასი ლითონები	გრამი	საბაზრო ღირებულება	საბალანსე ღირებულება	ნაკლებად შეფასებულია
პლატინა	11,864	1,224,645	34,906	1,189,739
ვერცხლი	4,473	71,566	401	71,164
ოქრო	134	13,111	262	12,849
სულ				1,273,752

სსიპ "რაფიელ აგლაძის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტი" ფლობს ქვემოთ მოცემულ ძვირფას ლითონებს, რომელთა ჯამური საბალანსო ღირებულება შეადგენს 19.98 ათას ლარს:

ძვირფასი ლითონები	გრამი	საბაზრო ღირებულება	სულ
პლატინა	4,743	103.22	489,590
ოქრო	151	97.95	14,824
ვერცხლი	2,142	16.00	34,279
საბაზრო ფასი			538,692
საბალანსე ღირებულება			19,981

⁷ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის ბრძანება #1321, 32-ე მუხლი, მე-4 პუნქტი.



ფინანსური ანგარიშგების პროცესში გამოვლენილი არსებითი სისუსტეები

სხვა მატერიალური მარაგები (გაგრძელება)

ასევე, სსიპ "კავკასიის ალექსანდრე თვალჭრელიძის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტს" 0.29 ათასი ლარით აღრიცხული აქვს შემდეგი ძვრიფასი ლითონები.

ძვირფასი ლითონები	გრამი	საბაზრო ღირებულება	სულ
პლატინა	5,028	103.22	518,990
ოქრო	50	97.95	4,898
ვერცხლი	1,957	16.00	31,312
სხვა ლითონები	279		
საბაზრო ღირებულება			555,200
საბალანსე ღირებულება			286

კრედიტორული დავალიანება

2011 წლის 31 დეკემბრისთვის ბალანსზე აღრიცხულია 1996-2008 წლების დაუფარავი საბიუჯეტო სახსრების ხარჯვით წარმოშობილი კრედიტორული დავალიანება, 1,391.38 ათასი ლარის მოცულობით, რომლის შესაწავლისას გამოვლინდა შემდეგი ნაკლოვანებები:

302.66 ათასი ლარის კრედიტორული დავალიანება წარმოიშვა პროგრამა „ბავშვთა ზრუნვის“ ფარგლებში დაფინანსებული სკოლა-პანსიონების ხარჯზე. აღნიშნული პროგრამა გადაეცა „შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს“, ხოლო მისი კრედიტორული დავალიანება კვლავ ირიცხება სამინისტროს ბალანსზე.

342.96 ათასი ლარის კრედიტორული დავალიანება წარმოადგენს 1996-2000 წლების სამინისტროს პროგრამების საბიუჯეტო დავალიანებებს. აღნიშნული პროგრამები 2011 წლისთვის გაუქმებულია და აღარ ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან (დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ ქვემოთ მოცემული ცხრილი).

საბიუჯეტო კრედიტორული დავალიანება	(თანხა ათას ლარებში)
განათლების სისტემის ფინანსური და რესურსული უზრუნველყოფა	101.1
თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიები განათლებაში	45.8
სასწავლო ცენტრი მზიური	44.2
სხვა ხანდაზმული სამინისტროს პროგრამების კრედიტორები	151.86
სულ	342.96

ასევე სამინისტროს აღრიცხული აქვს 208.84 ათასი ლარის ლიკვიდირებული ორგანიზაციების კრედიტორული დავალიანება, რომლის დასაფარად საბიუჯეტო სახსრები არ იქნა გამოყოფილი.



ფინანსური ანგარიშგების პროცესში გამოვლენილი არსებითი სისუსტეები

საბიუჯეტო ასიგნებები

სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული ასიგნებების გადანაწილების მიზნობრიობის შემოწმებით გამოვლინდა შემდეგი:

1. ფინანსთა სამინისტროში გაგზავნილ მოთხოვნებში არაა ახსნილი, ასიგნებების შემცირების შედეგად თუ რა აქტივობებს აღარ განახორციელებს მხარჯავი დაწესებულება.

მაგალითად, ფინანსთა სამინისტროს 2011 წლის 14 და 29 სექტემბრის № 669 და № 703 ცვლილებების ცნობების საფუძველზე, პროგრამა "ცოდნის კარის" სხვა ხარჯების მუხლის ასიგნება 600 ათასი ლარით გაიზარდა 2011-2012 სასწავლო წლის განმავლობაში დაგეგმილი სასწავლო-სამაგისტრო და სხვა სასწავლო პროგრამების სრულყოფილად განხორციელების მიზნით, სსიპ "მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის" პროგრამების საქონელი და მომსახურების მუხლის ასიგნების (500 ათასი ლარი) და "ინგლისური ენის სწავლების გაძლიერების" საქონელი და მომსახურების მუხლის ასიგნების (100 ათასი ლარი) შემცირების ხარჯზე.

რა დამატებითი აქტივობები უნდა განხორციელებინა "ცოდნის კარს" ან რა აქტივობებს აღარ განახორციელებდა სსიპ „მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი“ და "ინგლისური ენის სწავლების გაძლიერების" პროგრამა, ცვლილების მოთხოვნაში არა არის განმარტებული.

2. ბიუჯეტის ცვლილებების სიმრავლე განპირობებულია ბიუჯეტის დაგეგმვისას ისეთი აქტივობების გაუთვალისწინებლობით, რომელიც განმახორციელებელი უწყებისთვის წინასწარ იყო ცნობილი.

მაგალითად, სამინისტრო სსიპ "შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის" შენობაში (ალექსიძის ქ. №1, მე-3 სართ.) ახორციელებდა კაპიტალური სარემონტო სამუშაოების მრავალწლიან შესყიდვას, რომელიც დასტურდებოდა ფინანსთა სამინისტროს თანხმობით⁸. მიუხედავად ამისა, ასიგნება (150 ათასი ლარი) ბიუჯეტში არ იყო გათვალისწინებული⁹.

პრეზიდენტის ნაციონალური პროგრამა "საგანმანათლებლო დაწესებულებათა რებილიტაციის" არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლიდან თანხა გადატანილია საქონელი და მომსახურების

⁸21.10.11წ. №04-02/15666 წერილი;

⁹ცვლილების ცნობა № 17. 27.01.11;



ფინანსური ანგარიშგების პროცესში გამოვლენილი არსებითი სისუსტეები

საბიუჯეტო ასიგნებები (გაგრძელება)

მუხლში¹⁰. ცვლილება განაპირობა იმ გარემოებამ, რომ ბიუჯეტში არ იყო გათვალისწინებული სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების საექსპერტო მომსახურებისათვის საჭირო ასიგნებები. პროგრამა პროცედურულად ითვალისწინებს ამ სამუშაოების აუცილებელ ექსპერტიზას.

სამინისტროს აპარატის არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლში ასიგნება გაიზარდა სსიპ "შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის" პროგრამების და გრანტების სხვა ხარჯების მუხლში ასიგნების შემცირების ხარჯზე, ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფ. ჟახუნდარას საჯარო სკოლის და სსიპ "ფოთის პროფესიული სწავლების ცენტრის" სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების მრავალწლიანი შესყიდვის დაფინანსების მიზნით (1,000 ათასი ლარი). შესყიდვა შეთანხმებული იყო მთავრობასთან¹¹ და ფინანსთა სამინისტროსთან¹². თუმცა, ასიგნება ბიუჯეტში არ იყო გათვალისწინებული¹³.

სსიპ "მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის" აპარატის ასიგნება, უმაღლესი საგანმანათლებლო/კვლევითი პროგრამების საქონელი და მომსახურების მუხლში ასიგნების შემცირების ხარჯზე, 600 ათასი ლარით გაიზარდა ოფისის სამშენებლო სამუშაოების პარალელურად. ამასთან, რა აქტივობები აღარ განხორციელდებოდა უმაღლესი საგანმანათლებლო/კვლევითი პროგრამების ფარგლებში, არ არის ახსნილი ბიუჯეტის ცვლილების მოთხოვნის ფორმაში¹⁴.

3. პროგრამების ბიუჯეტის გარკვეული ნაწილი თავდაპირველად დაგეგმილი იყო გაზრდილი მოცულობით, ხოლო შემდეგ ასიგნებები გამოყენებულია სხვა აქტივობებზე.

მაგალითად, პროგრამის "ჩემი პირველი კომპიუტერი" ასიგნება თავდაპირველად დამტკიცებული ბიუჯეტით განსაზღვრული იყო 32,000 ათასი ლარის ოდენობით. პროგრამის ფარგლებში, წლის განმავლობაში 6-ჯერ განხორციელებული ცვლილების შეგეგად, ასიგნება შემცირდა 7,306.7 ათასი ლარით, ანუ 22.83 %-ით და დაზუსტდა 24,693,3 ათას ლარზე. პროგრამის ასიგნების შემცირების მიზეზად მითითებულია ბენეფიციართა რაოდენობის დაზუსტება.

ასევე, "სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახების მოსწავლეების სასკოლო სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის" პროგრამის თავდაპირველი ასიგნება იყო 8,100 ათასი ლარი, ხოლო წლის განმავლობაში 3-ჯერ განხორციელებული ცვლილების შემდეგ შემცირდა 3,775 ათასი ლარით, ანუ 46.6 %-ით და დაზუსტდა 4,325 ათას ლარზე. პროგრამის ასიგნების შემცირების მიზეზად მითითებულია ბენეფიციართა რაოდენობის დაზუსტება.

¹⁰ ცნობა № 30. 03.02.11;

¹¹ 25.08.10 წლის №12138 და №1139 განკარგულებების მიხედვით;

¹² 08. 10.10 წლის №04-02/15113 და 13.10.10 წ. №04-02/15289 წერილების საფუძველზე;

¹³ ცნობა № 178. 23.03.11;

¹⁴ ცნობა № 407. 02.06.11.



ფინანსური ანგარიშგების პროცესში გამოვლენილი არსებითი სისუსტეები

საბიუჯეტო ასიგნებები (გაგრძელება)

სსიპ "შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის" პროგრამები და გრანტების სხვა ხარჯების მუხლის ასიგნება თავდაპირველად დამტკიცებული ბიუჯეტით დაიგეგმა 22,596 ათას ლარზე, ხოლო 13-ჯერ განხორციელებული ცვლილების შემდეგ შემცირდა 13,297.7 ათას ლარამდე, ასიგნება შემცირდა 39,83 %-ით. ასიგნების შემცირებით აღარ განხორციელდება რიგი კვლევითი და სამეცნიერო პროექტები, ხოლო კონკრეტულად რომელი, ცვლილების მოთხოვნაში არაა განმარტებული.

შრომის ანაზღაურება

შრომის ანაზღაურების მუხლი მოიცავს სამინისტროს დაქვემდებარებული უწყებების თანამშრომლების ხელფასებს. სამინისტროს აპარატის თანამშრომლები ერთდროულად ითავსებენ სხვა ქვეუწყებების ხელმძღვანელისა და სხვა თანამდებობებს. შედეგად, სამინისტროს აპარატის თანამშრომლებს სხვა უწყებების თანამდებობის შეთავსებით მიღებული აქვთ შემდეგი შემოსავალი:

სამინისტროს აპარატი	მინისტრი და მოდელი	სხვა თანამშრომლები	% წილი
შრომის ანაზღაურება	137,976	1,852,272	7%
პრემია	72,464	944,048	7%
სხვა დამატებითი შემოსავალი სსიპ-ებიდან	57,047	65,336	47%
სულ	267,487	2,861,656	

ასევე, სსიპ "გამოცდების ეროვნული ცენტრის" საკუთარი შემოსავლებიდან თანამშრომლებზე გაიცა 2,319 ათასი ლარი პრემია/დანამატის სახით. მათ შორის, ცენტრის ხელმძღვანელმა წლის განმავლობაში სახელფასო დანამატის სახით, საკუთარი შემოსავლებიდან მიიღო 46.3 ათასი ლარი, რომელზეც საფუძველი არ არის განსაზღვრული.

ორგანიზაციის ბალანსი - ფორმა #1

აქტივები	2010	2011
ნაღდი ფული სალაროში ეროვნულ ვალუტაში	29,889	15,696
ნაღდი ფული სალაროში უცხოურ ვალუტაში	-	-
საანგარიშსწორებო (მიმდინარე) ანგარიში ბანკში	21,270,184	33,985,804
სავალუტო ანგარიში ბანკში	5,385,267	7,183,416
დეპოზიტები ბანკში ეროვნულ ვალუტაში	4,544,534	3,533,927
დეპოზიტები ბანკში უცხოურ ვალუტაში	70,464	-
სხვა ანგარიშები ბანკში	4,396,507	4,807,746
ანგარიში ხაზინაში საბიუჯეტო სახსრებით ორგანიზაციის საკასო ხარჯებისათვის	-	-
სანგარიშსწორებო (მიმდინარე) ანგარიში ხაზინაში არასაბიუჯეტო სახსრებისათვის	-	-
დეპოზიტები ხაზინაში ეროვნულ ვალუტაში	36,274	19,726
დეპოზიტები ხაზინაში უცხოურ ვალუტაში	16,690	-
სხვა ანგარიშები ხაზინაში	271,026	2,047,171
სხვა ფინანსური აქტივები	40,160	40,160
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	26,996,796	30,351,791
მოთხოვნები მივლინებით	194,489	117,864
მოთხოვნები დანაკლისებით	1,554,815	1,567,338
ანგარიშვალდებული პირების მიმართ სხვა მოთხოვნები	941,575	590,898
ანგარიშვალდებული პირის მიმართ მოთხოვნა ხაზინიდან გადარიცხული	26,971	26,016
გადახდილი დღგ	414,509	544,845
წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი	1,142,526	1,376,346
სხვა საგადასახადო აქტივი	1,191,664	1,112,515
წინასწარ გადახდილი საიჯარო ქირა	1,108	1,449
მოთხოვნები სხვა წინასწარი გადახდებით	1,978,593	11,170,121
მისაღები პროცენტები	1,319	1,319
მისაღები დივიდენდები	135,084	135,084
მისაღები საწევროები და ერთჯერადი შენატანები	454	19,532
სხვა დანარჩენი დებიტორული დავალიანებები	22,661,759	30,680,500
შენობა-ნაგებობები	357,871,940	386,297,184
მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	60,482,129	84,344,307
სხვა ძირითადი აქტივები	2,606,269	2,756,618
დაუმთავრებელი მშენებლობა	18,334,113	26,543,870
სხვა დანარჩენი ძირითადი აქტივები	62,429,159	64,381,201
სტრატეგიული მარაგები	22,368	22,368
სხვა მატერიალური მარაგები	18,355,045	21,750,688
ფასეულობები	364,349	422,551
არაწარმოებული აქტივები	263,257,475	304,208,452
ბალანსი	877,025,504	1,020,056,503

ორგანიზაციის ბალანსი - ფორმა #1

ვალდებულებები და კაპიტალი	2010	2011
ფინანსური ვალდებულებები	1,101,681	-
ვალდებულებები მოწოდებიდან და მომსახურებიდან	4,143,805	2,558,975
გადასახდელი მოგების გადასახადი	183,980	335,122
გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	310,107	364,272
გადასახდელი დღგ	80,770	122,747
ბიუჯეტის წინაშე სხვა ვალდებულებები	466,767	480,906
გადასახდელი ხელფასები შტატით მომუშავეთათვის	1,176,569	1,282,673
გადასახდელი ხელფასები შტატგარეშე მომუშავეთათვის	309,852	341,766
გადასახდელი სტიპენდიები	10,197	21,842
ვალდებულებები მივლინებით	39,937	37,297
სოციალური დაზღვევის ანარიცხები	-	-
დამკირავებლის მიერ ფულადი და სასაქონლო ფორმით გაწეული სოციალური დახმარებით ვალდებულებები	-	-
სასამართლოს ან/და ადმინისტრაციული ორგანოების გადაწყვეტილებების შესაბამისად დაკავებული თანხები ან სხვა დაკავებული თანხები	6,584	6,205
ვალდებულებები დეპონენტების მიმართ	251,325	186,006
წინასწარ მიღებული საიჯარო ქირა	4,087	2,913
ვალდებულებები წინასწარ მიღებული სხვა შემოსავლებით	4,729,996	8,026,384
გადასახდელი პროცენტები	-	-
გადასახდელი დივიდენდები	-	-
გადასახდელი საწევროები და ერთჯერადი შენატანები	-	-
სხვა დანარჩენი კრედიტორული დავალიანებები	1,519,732	1,313,883
ფულადი და სასაქონლო ფორმით გაწეული სოციალური დახმარებით ვალდებულებები	-	347
წმინდა ღირებულება	798,574,721	920,800,325
გაუნაწილებელი მოგება	64,658,583	84,674,336
დაუფარავი ზარალი*	543,189	499,496
ბალანსი	877,025,504	1,020,056,503
საოპერაციო იჯარით აღებული ძირითადი აქტივები და მათთან დაკავშირებული დანახარჯები	-	15,000
პასუხსაგებ შენახვაზე მიღებული მატერიალური ფასეულობები	2,985,802	2,515,823
გადახდისუნარო დებიტორების ჩამოწერილი დავალიანება	5,153	6,713
ხარჯებში ჩამოწერილი მარაგები ექსპლუატაციაში	75,256,049	125,902,950
პირობითი მოთხოვნები	1,057,035	-
საკუთარი სახსრებით კაპიტალის შექმნა	115,575	132,365
ამორტიზირებული ძირითადი აქტივები	6,630,427	9,490,539
ვადაგადაცილებული დავალიანებები	14,335,389	4,287,338

ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით ბალანსის დანართი ფორმა N2

ხარჯების ჩამონათვალი	ბიუჯეტით დამტკიცებული წლიური გეგმით	საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმით	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)	ფაქტობრივი ხარჯი	გადახრა ფაქტობრივ ხარჯსა და გადახდას შორის
ხარჯები	497,269,900	494,730,711	490,211,186	489,591,500	489,591,500	502,369,671	12,778,171
შრომის ანაზღაურება	16,034,600	17,040,898	17,033,617	16,963,110	16,963,110	16,964,067	957
სახელფასო ხარჯი	-	-	17,033,617	16,963,110	16,963,110	16,964,067	957
ხელფასები ფულადი ფორმით	-	-	17,033,617	16,963,110	16,963,110	16,964,067	957
თანამდებობრივი სარგო	-	-	14,644,189	14,586,955	14,586,955	14,587,911	956
პრემია	-	-	2,280,326	2,267,053	2,267,053	2,267,053	0
დანამატი	-	-	109,103	109,103	109,103	109,103	0
საქონელი და მომსახურება	42,777,900	48,617,099	47,949,392	47,757,099	47,757,099	45,891,716	(1,865,383)
შტატგარეშე მომსახურება	-	-	20,615,056	20,604,585	20,604,585	20,080,001	(524,584)
ანაზღაურება	-	-	3,854,509	3,833,149	3,833,149	3,822,868	(10,281)
მიწის ნაკვეთები	-	-	10,631,882	10,566,144	10,566,144	9,962,096	(604,048)
ოფისის ხარჯები	-	-	568,384	565,224	565,224	495,609	(69,615)
წარმომადგენლობითი	-	-	108,828	99,417	99,417	99,417	0
ხარჯები	-	-	3,261	3,261	3,261	5,750	2,489
კვების ხარჯები	-	-	-	-	-	-	-
სამედიცინო ხარჯები	-	-	-	-	-	-	-
რბილი ინვენტარისა და	-	-	-	-	-	-	-
უნიფორმის შეძენის და პირად	-	-	-	-	-	-	-
პირგონიდან დაკავშირებული	-	-	-	-	-	-	-
ხარჯები	-	-	497,068	497,068	497,068	299,777	(197,291)
ტრანსპორტის, ტექნიკისა და	-	-	-	-	-	-	-
იარაღის ექსპლუატაციის ხარჯი	-	-	1,483,420	1,480,947	1,480,947	1,404,034	(76,913)
სხვა დანაწილები საქონელი და	-	-	10,186,985	10,107,304	10,107,304	9,722,164	(385,140)
მომსახურება	-	-	-	-	-	-	-
ბირთვული კაპიტალის	-	-	-	-	-	-	-
მოხმარება	-	-	-	-	-	18,801,025	18,801,025

75

**ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით
ბალანსის დანართი ფორმა N2**

ხარჯების ჩამონათვალი	ბიუჯეტით დამტკიცებული წლიური გეგმით	საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმით	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)	ფაქტობრივი ხარჯი	გადახრა ფაქტობრივ ხარჯსა და გადახდას შორის
სუბსიდიები	29,454,600	32,484,913	31,305,128	31,243,124	31,243,124	30,987,182	(255,942)
გრანტები	117,300	2,394,900	131,374	130,848	130,848	130,848	(0)
საერთაშორისო გრანტები	-	-	131,374	130,848	130,848	130,848	(0)
მიმდინარე	-	-	131,374	130,848	130,848	130,848	(0)
სოციალური უზრუნველყოფა	2,300,600	2,342,330	2,332,270	2,321,389	2,321,389	2,313,489	(7,900)
სოციალური დახმარება	-	-	2,189,090	2,179,800	2,179,800	2,180,850	1,050
ფულადი ფორმით	-	-	2,189,090	2,179,800	2,179,800	2,180,850	1,050
დამქირავებლის მიერ გაწეული	-	-	143,180	141,589	141,589	132,639	(8,950)
სოციალური დახმარება	-	-	143,180	141,589	141,589	132,639	(8,950)
ფულადი ფორმით	-	-	143,180	141,589	141,589	132,639	(8,950)
სხვა ხარჯები	406,584,900	391,850,571	391,459,405	391,175,930	391,175,930	387,281,344	(3,894,586)
სხვადასხვა ხარჯები	-	-	391,459,405	391,175,930	391,175,930	387,281,344	(3,894,586)
მიმდინარე	-	-	381,506,350	381,254,589	381,254,589	383,402,291	2,147,702
კაპიტალური	-	-	9,953,055	9,921,340	9,921,340	3,879,053	(6,042,287)

**ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ
ბალანსის დანართი ფორმა N2-1**

არაფინანსური აქტივების ჩამონათვალი	დამტკიცებული გეგმით	დაზუსტებული გეგმით	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)
არაფინანსური აქტივები	53,572,200	62,566,171	62,318,778	61,991,368	61,991,368
ბირთვადი აქტივები	-	-	62,318,778	61,991,368	61,991,368
შენიშნა-ნაგებობები	-	-	25,828,063	25,537,747	25,537,747
საცხოვრებელი შენობები	-	-	23,890	23,890	23,890
არასაცხოვრებელი შენობები	-	-	25,615,303	25,324,986	25,324,986
სხვა ნაგებობები	-	-	188,870	188,870	188,870
მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	-	-	36,003,676	35,966,582	35,966,582
სატრანსპორტო საშუალებები	-	-	1,615,973	1,615,973	1,615,973
სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	-	-	34,387,704	34,350,610	34,350,610
სხვა ბირთვადი აქტივები	-	-	487,039	487,039	487,039
კულტურული აქტივები	-	-	-	-	-
არამატერიალური ბირთვადი აქტივები	-	-	487,039	487,039	487,039
ლიცენზიები	-	-	149,857	149,857	149,857
სხვა არამატერიალური ბირთვადი აქტივები	-	-	337,182	337,182	337,182

ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ
ბალანსის დანართი ფორმა N3

დებეტი	თანხა	კრედიტი	თანხა
ნაშთი წლის დასაწყისისათვის	-	ნაშთი წლის დასაწყისისათვის	798,574,721
მომუშავეთა ანაზღაურება	26,454,773	ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება	552,515,712
საქონელი და მომსახურება	50,809,473	ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება პენსიებისა და დახმარებების გასაცემად	-
ძირითადი კაპიტალის მოხმარება	19,635,715	შემოსავლები	40,297,187
მ. შ. ფიზიკური ცვეთა	17,371,850	მ. შ. გადასახადები	-
პროცენტი	2,794	სოციალური შენატანები	-
სუბსიდიები	31,037,778	გრანტები	16,212,344
გრანტები	130,848	სხვა შემოსავლები	24,084,843
სოციალური უზრუნველყოფა	2,322,440		
სხვა ხარჯები	387,540,430		
აქტივების უსასყიდლოდ გაცემა	31,791,658	აქტივების უსასყიდლოდ მიღება	73,348,233
მ. შ. ძირითადი აქტივების	21,777,270	მ. შ. ძირითადი აქტივების	49,613,649
მატერიალური მარაგების	7,201,844	მატერიალური მარაგების	13,511,068
ფასეულობების	304	ფასეულობების	304
არაწარმოებული აქტივების	2,812,240	არაწარმოებული აქტივების	10,223,212
სხვა ფინანსური აქტივების	-	სხვა ფინანსური აქტივების	-
სხვა ეკონომიკური ნაკადები	57,896,265	სხვა ეკონომიკური ნაკადები	64,782,637
მ. შ. ზარალი ფლობიდან	-	მ. შ. მოგება ფლობიდან	-
სხვა მოცულობითი ცვლილებები	57,896,265	აქტივების სხვა მოცულობითი ცვლილებები	64,782,637
ბიუჯეტის წინაშე სხვა ვალდებულებები*	1,095,991		-
სადებეტო ბრუნვა	608,718,165	საკრედიტო ბრუნვა	730,943,769
სულ ჯამი**	608,718,165	სულ ჯამი***	1,529,518,490

ანგარიში სხვა შემოსავლებიდან მიღებული სახსრების მოძრაობის შესახებ ბალანსის დანართი ფორმა N4

შემოსავლები	გეგმით	საკასო	ფაქტიური
ნაშთი წლის დასაწყისისათვის		26,006,105	64,115,141
საანგარიშო პერიოდის სხვა შემოსავლები		170,838,195	177,709,371
მათ შორის სახეების მიხედვით		-	-
ა) შემოსავლები საკუთრებიდან		4,014,745	4,208,644
ბ) საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია		144,602,953	148,647,347
გ) სანქციები, ჯარიმები, საურავები		95,126	228,986
დ) ნებეზილირებული ტრანსფერები, გრანტების გარდა		2,772,775	2,968,759
ე) შეჩერებული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები		19,352,596	21,655,635
მათ შორის:			
კურსთაშორის სხვაობით მიღებული შემოსავალი		1,728,693	1,389,827
ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით		149,077,365	157,649,672
შრომის ანაზღაურება		76,814,725	78,328,104
საქონელი და მომსახურება		64,272,262	65,996,006
ძირითადი კაპიტალის მოხმარება		-	2,451,477
პროცენტი		36,630	36,630
სუბსიდიები		-	-
გრანტები		-	-
სოციალური უზრუნველყოფა		215,494	175,891
სხვა ხარჯები	-	7,738,254	10,661,564
არაფინანსური აქტივები		14,056,945	
ძირითადი აქტივები		8,148,423	
მატერიალური მარაგები		5,866,022	
ფასეულობები		-	
არაწარმოებული აქტივები	-	42,500	
ფინანსური აქტივები		95,970	
საშინაო		95,970	
საგარეო		-	
მონეტარული ოქრო და ნასესხობის სპეციალური უფლება	-	-	
ვალდებულებები		2,987,786	
საშინაო		2,987,786	
საგარეო		-	
ბიუჯეტში გადახდილი თანხები		10,531,349	
კურსთაშორის სხვაობით მიღებული ზარალი	-	600,939	
ნაშთი წლის (კვარტლის) ბოლოს		30,626,234	84,174,840

**ანგარიში ფულადი გრანტების შესახებ
ბალანსის დანართი ფორმა N4-1**

		გეგმიური	საკასო	ფაქტიური
1	გრანტის მთლიანი მოცულობა	55,057,317	55,238,661	44,104,165
2	მ.შ მიღებული თანხა	40,303,462	40,283,320	39,144,969
3	მ.შ სულ დამტკიცებული მოცულობა	63,200	63,200	63,200
4	მ.შ უკანასკნელი ჩარიცხვა	16,263,786	16,462,101	16,212,344
1	ნაშთი პერიოდის დასაწყისში	-	3,969,981	10,076,487
2	მიმდინარე წლის მოცულობა	-	16,462,101	16,212,344
3	სულ მიმდინარე წლის შემოსულობები (1+2)	-	20,432,082	26,288,831
4	შრომის ანაზღაურება	-	9,544,628	9,490,706
5	საქონელი და მომსახურება	-	5,165,285	4,917,757
6	პროცენტი	-	2,794	2,794
7	სუბსიდიები	-	51,902	50,596
8	გრანტები	-	-	-
9	სოციალური უზრუნველყოფა	-	8,951	8,951
10	სხვა ხარჯები	-	241,410	259,086
11	არაფინანსური აქტივების ზრდა	-	854,021	561,739
12	ფინანსური აქტივების ზრდა	-	-	-
13	ვალდებულებების კლება	-	2,958	-
14	სულ მიმდინარე წლის დამტკიცებული მოცულობა	-	-	-
	სულ ხარჯი		15,871,949	14,729,890
	სულ მიმდინარე ნაშთი		4,560,133	11,558,941

ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ ბალანსის დანართი ფორმა N5

არაფინანსური აქტივების დასახელება	მიღება										დამატებითი დამატება
	ფინანსური დახარჯები	საბუღალტრო დახარჯები	საბუღალტრო დახარჯები	საბუღალტრო დახარჯები	საბუღალტრო დახარჯები	საბუღალტრო დახარჯები	საბუღალტრო დახარჯები	საბუღალტრო დახარჯები	საბუღალტრო დახარჯები	საბუღალტრო დახარჯები	
ძირითადი აქტივები	501,723,610	56,473,404	49,613,649	991,079	830,968	21,197,990	11,175,199	2,744			
შენიშვნა-წარმოები	357,871,940	5,291,136	35,661,306	12,200	428,750	19,161,703	5,139,837	-			
საგზო-საგზო მანქანები	6,344,749	28,390	9,318	-	-	977,235	20,798	-			
არასავსებით აღებული შენობები	340,212,321	5,185,542	34,196,880	-	255,877	17,929,445	4,750,678	-			
სხვა ნაგებობები	11,314,870	77,204	1,455,108	12,200	172,873	255,023	368,361	-			
მანქანა-დანადგარები და მოწყობილობები	60,482,129	38,144,282	9,219,259	837,667	18,449	1,102,957	4,854,729	-			
სატრანსპორტო საშუალებები	6,018,838	1,620,772	2,572,100	-	-	322,814	834,686	-			
სხვა მანქანა-დანადგარები	54,463,291	36,523,510	6,647,159	837,667	18,449	780,143	4,020,043	-			
სხვა ძირითადი აქტივები	2,606,269	383,998	228,570	67,082	-	304,063	253,875	-			
კულტურული აქტივები	353,921	-	75,110	3,132	-	36,621	5,920	-			
არამატერიალური ძირითადი აქტივები	2,252,348	383,998	153,460	63,950	-	267,442	247,955	-			
ლიცენზიები	196,455	-	29,438	-	-	-	14,097	-			
სხვა არამატერიალური ძირითადი აქტივები	2,055,893	383,998	124,022	63,950	-	267,442	233,858	-			
დაუმთავრებელი მშენებლობა	18,334,113	12,110,510	-	-	-	160,436	214,040	-			
სხვა დანარჩენი ძირითადი აქტივები	62,429,159	543,478	4,504,514	74,130	383,769	468,831	712,718	2,744			
მატერიალური მარაგები	18,377,413	19,645,287	13,511,068	570,147	15,987	1,863,882	9,785,638	265			
სტატეგიური მარაგები	22,368	-	-	-	-	-	-	-			
სხვა მატერიალური მარაგები	18,355,045	19,645,287	13,511,068	570,147	15,987	1,863,882	9,785,638	265			
ნედლეული და მასალები	1,920,631	1,203,485	611,343	180,495	-	100,318	1,572,831	-			
მზა პროდუქცია	642,395	226,648	-	109	1,295	93,145	462,768	-			
დაუმთავრებელი წარმოება	16,853	-	-	-	-	-	169,919	-			
მზა პროდუქცია	314,766	-	-	7,836	332	14,269	454,118	-			
სათადარიგო ნაწილები	201,376	55,594	490	3,213	-	55	131,615	-			
ფულადი დოკუმენტები	530,051	472,444	9,115	12,818	-	2,237	534,903	-			
სხვა დანარჩენი მატერიალური მარაგები	14,728,974	17,687,116	12,890,120	365,676	14,360	1,653,858	6,459,484	265			
ფასეულობები	364,349	-	304	-	-	69,052	-	-			
ფინანსური აქტივები	305,457	-	304	-	-	69,052	-	-			
ხელშეკრულებების ნიმუშები	58,892	-	-	-	-	-	-	-			
არაწარმოებული აქტივები	263,257,475	36,475	10,223,212	-	-	42,679,239	42,500	-			
მიწა	263,256,138	36,475	10,223,212	-	-	42,679,239	42,500	-			
არაწარმოებული არამატერიალური აქტივები	1,337	-	-	-	-	-	-	-			

ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ
ბალანსის დანართი ფორმა N5

არაფინანსური აქტივების დასახელება	გ ა ს ვ ლ ა											
	გაყიდვით	იმვე დონის სახელმწიფო ერთეულზე უსასყიდლოდ	სუბსიდიებით	გრანტებით	დანაკლისით	სხვა ხარჯები	სხვა ეკონომიკური ნაკადებით	საკუთარი სახსრებით	კაპიტალის შექმნა	პირითადი კაპიტალის მოხმარება	საქონელი და მომსახურებით	ნაშთი წლის (პერიოდის) ბოლოს
პირითადი აქტივები	5,685	21,777,270	601	-	35,870	1,986,590	31,792,255	-	22,087,192	-	-	564,323,180
შენობა-ნაგებობები	-	10,129,422	-	-	-	-	20,271,954	-	6,868,312	-	-	386,297,184
საცხოვრებელი შენობები	-	1,480,327	-	-	-	-	274,740	-	141,132	-	-	5,484,291
არასაცხოვრებელი შენობები	-	8,600,699	-	-	-	-	18,008,562	-	6,234,176	-	-	369,687,306
სხვა ნაგებობები	-	48,396	-	-	-	-	1,988,652	-	493,004	-	-	11,125,587
მანქანა-დანადგარები და მოწყობილობები	-	10,462,119	368	-	22,480	1,960	5,240,478	-	14,587,760	-	-	84,344,307
სატრანსპორტო საშუალებები	-	1,220,814	-	-	12,719	-	718,878	-	1,323,839	-	-	8,092,960
სხვა მანქანა-დანადგარები	-	9,241,305	368	-	9,761	1,960	4,521,600	-	13,263,921	-	-	76,251,347
სხვა პირითადი აქტივები	5,685	398,051	-	-	-	99,851	337,028	-	246,624	-	-	2,756,618
კულტივირებული აქტივები	5,685	6,511	-	-	-	-	130,330	-	5,064	-	-	327,114
არამატერიალური აქტივები	-	391,540	-	-	-	99,851	206,698	-	241,560	-	-	2,429,504
ლიცენზიები	-	-	-	-	-	99,851	-	-	9,674	-	-	130,465
სხვა არამატერიალური	-	391,540	-	-	-	-	206,698	-	231,886	-	-	2,299,039
დაუმთავრებელი მშენებლობა	-	640,163	-	-	-	1,746,142	1,843,335	-	45,589	-	-	26,543,870
სხვა პირითადი აქტივები	-	147,515	233	-	13,390	138,637	4,099,460	-	338,907	233	-	64,381,201
მატერიალური მარაგები	308,311	7,201,844	1,189	252,573	6,032	4,538,058	4,816,390	-	-	-	24,872,235	21,773,056
სტატეგიული მარაგები	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	22,368
სხვა მატერიალური მარაგები	308,311	7,201,844	1,189	252,573	6,032	4,538,058	4,816,390	-	-	-	24,872,235	21,750,688
ნედლეული და მასალები	-	1,003	-	145,404	-	-	518,910	-	-	-	2,560,363	2,363,423
მზა პროდუქცია	165,471	199,632	-	109	-	43,213	169,978	-	-	-	-	847,957
დაუმთავრებელი წარმოება	-	-	-	-	-	184,691	47	-	-	-	-	2,034
მზა პროდუქცია	139,175	4,323	-	-	-	-	9,521	-	-	206,130	-	432,172
სათადარიგო ნაწილები	-	-	-	3,213	1,208	6,493	-	-	-	165,409	-	216,020
ფულადი დოკუმენტები	-	6,495	-	12,410	-	34,386	96	-	-	964,079	-	544,102
სხვა დანარჩენი მატერიალური	3,665	6,990,391	1,189	91,437	4,824	4,269,275	4,117,838	-	-	20,976,254	-	17,344,980
ფასეულობები	-	304	-	-	-	3,602	7,248	-	-	-	-	422,551
ბეირფასი ქვები და ლითონები	-	304	-	-	-	3,602	6,578	-	-	-	-	364,329
ხელოვნების ნიმუშები	-	-	-	-	-	-	670	-	-	-	-	58,222
არაწარმოებული აქტივები	-	2,812,240	-	-	-	-	9,217,324	-	885	-	-	304,208,452
მიწა	-	2,812,240	-	-	-	-	9,217,324	-	-	-	-	304,208,000
არაწარმოებული	-	-	-	-	-	-	-	-	-	885	-	-

**ორგანიზაციის ანგარიში ეკონომიკური ნაკადების შედეგად ფინანსური
აქტივებისა და ვალდებულების ცვლილებების შესახებ – ბალანსის დანართი
ფორმა N5-1**

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების დასახელება	მოგება ფლობიდან	ზარალი ფლობიდან	აქტივების სხვა მოცულობითი ცვლილებებით ზრდა	აქტივების სხვა მოცულობითი ცვლილებებით კლება
ფინანსური აქტივები	-	-	-	17,787
სხვა დებიტორული დავალიანებები	-	-	-	17,787
ფინანსური ვალდებულებები	-	-	282,772	281,822
სხვა კრედიტორული დავალიანებები	-	-	282,772	281,822

ანგარიში ავტომატების ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ
ბალანსის დანართი ფორმა N6

მაჩვენებელთა დასახელება	ბიუჯეტით	არასაბიუჯეტო სახსრებით			სულ	
	საკასო ხარჯები	ფაქტიური ხარჯები	საკასო ხარჯები	ფაქტიური ხარჯები	საკასო ხარჯები	ფაქტიური ხარჯები
სატრანსპორტო ერთეულთა საშუალო წლიური რაოდენობა სულ --- 936	1,892,651	2,034,513	1,361,765	1,210,393	3,254,416	3,244,906
მ.შ. მსუბუქი მანქანები სულ --- 547	1,865,031	2,001,686	1,265,129	1,102,152	3,119,648	3,103,838
აქედან ა) პერსონალური სარგებლობის --- 94	309,339	331,757	257,991	253,850	567,330	585,607
ბ) სამსახურებრივი მიმოსვლის ---- 450	1,545,180	1,659,417	1,007,138	848,302	2,552,318	2,507,719
გ) ოპერატიული და სპეცდანიშნულების --- 445	38,132	43,339	96,636	108,241	134,768	151,580

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
 აუდიტის ანგარიში
 2011 წელი

დანართი # 1

დასახელება	2011 წელს დაურეგისტრირებული საბალანსო ღირებულება	ქონების სარეგულირებადო არ არსებული ქონების ღირებულება
სსიპ "ელფეთერ ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტი"	675,115	113,702
სსიპ "იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტი"	520,872	
სსიპ "ვლადიმერ ჭავჭავაძის კიბერნეტიკის ინსტიტუტი"	487,215	
სსიპ "კვკასიის ალექსანდრე თვალქერელობის მინერალური წყდლოულის ინსტიტუტი"	324,763	262,859
სსიპ ინსტიტუტი "ტეხნოფორმი"	222,250	
სსიპ "ალექსანდრეწაიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტი"	101,755	
სსიპ "წყალთამყურეობის ინსტიტუტი"	57,938	50,832
სსიპ "არჩილელაშვილის მართიშვილის სისტემების ინსტიტუტი"	43,198	
სსიპ "ვიდრომეტროლოგიის ინსტიტუტი"	41,837	
სსიპ "ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტი"	29,966	
სსიპ "პატარა ჭაბუკაშვილის ცენტრის ინსტიტუტი"	11,974	
სსიპ "მემორიალური ტექნოლოგიების საინჟინრო ინსტიტუტი"	5,189	
სსიპ "ალექსანდრე ჯანელიძის გეოლოგიის ინსტიტუტი"	2,315	
სსიპ "ივანეჯავახიშვილის სისტემების საინჟინროლოგიის ინსტიტუტი"	1,517	
სულ დაურეგისტრირებული ქონება	2,525,905	634,289
სსიპ "მიხეილ დიდას გეოფიზიკის ინსტიტუტი"	733,668	127,286
სსიპ "გერმელის ქიმიის ფიზიკური დაორგანიზაციის ინსტიტუტი"	117,658	79,610
სულ ქონება რომელიც საჭიროებს რეგისტრაციის განახლებას	851,326	

85

დანართი # 2

უმაღლეს საგანმანათლებლო/კვლევით დაწესებულებებში სწავლის საფასურის შედეგად დარიცხული დებიტორული დავალიანებები:

დასახელება	2011 წელი	1996 - 2011
სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	5,108,164	7,859,314
სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	517,977	1,310,446
სსიპ სოხუმის უნივერსიტეტი	529,504	529,504
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	1,493,877	2,674,017
თელავის იაკობ გოგებაშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი	1,397,828	1,397,828
გორის სასწავლო უნივერსიტეტი	768,604	768,604
სსიპ ზუგდიდის შოთა მესხიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	223,460	325,603
ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია	46,027	509,639
სულ	10,085,441	15,374,955